დარიგება და ნუგეში

„ ხოლო ვინც წინასწარმეტყველებს, ის ადამიანებს ელაპარაკება აღსაშენებლად, სანუგეშოდ და გასამხნევებლად“ (I კორ. 14, 3)

უბრალო დარიგება მართლმადიდებლური ეკლესიის გამოცდილებიდან

წმინდა ანგელოზების სახ. ქალთა მონასტრის სამთვიანი გამოცემა
ათიდნე ატიკა საბერძნეთი
№ 2 • დეკემბერი 2012 - იანვარი - თებერვალი 2013

სარჩევი

• ტექსტი № 1 : საშობაო ეპისტოლე უფლისა ჩვენისა და მაცხოვრისა იესო ქრისტესი
იმედები და იდეალები

• ტექსტი № 2: ღვთისთვის საძაგელი მოყვასის განკითხვის ვნება
უნდა ვიფხიზლოთ, რათა არავინ განვიკითხოთ

• ტექსტი № 3: გონიერი/ გულის ლოცვა და სულიერი მამა
იესოს ლოცვა ერში

• ტექსტი № 4: 10 ნიჭი, რომელსაც ფასი არ აქვს, გარდა ლოცვისა და კეთილგანწყობისა
მოყვასთან მშვიდობიანი ყოფის ათი მცნება

• ტექსტი № 5: ბოროტ სულებს ღვთისმშობელის შიში აქვთ
გულწრფელი აღსარება

• ტექსტი № 6: ორი მეტად დამრიგებლური გამოცხადება
ჭეშმარიტი სინანული

• ტექსტი № 7: ბილწ აზრებთან ბრძოლა
“მე შენს გულში ვიყავი...”

• ტექსტი № 8: წმიდა ხატების ძალა
დემონს სძულს მათდამი თაყვანისცემა

საშობაო ეპისტოლე უფლისა ჩვენისა და მაცხოვრისა იესო ქრისტესი

იმედები და იდეალები

წმიდა სამების და ღმერთის სიტყვის განხორციელების საიდუმლოებანი

ამ დიდ დღეს, ჩვენ ისევ შეკრებილნი ვართ ჩვენი უფლის დიდების ტაძარში, ვეზიარებით საღმრთო სასუფევლის სერობას, ჩვენ ჭეშმარიტი სინათლისკენ საღმრთო პარაკლიტს (ნუგეშინისმცემელს, წმიდა სამებას – რედ.) მივყავართ და ღრმა კდემამოსილებით თაყვანს ვსცემთ ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს განხორციელების გამოუთქმელ საიდუმლოს

დიდება და მადლობა მამასა, და ძესა, და წმიდასა სულსა!...

კეთილი, სასიხარულო ამბავი, ხარება იმის შესახებ, რომ სიტყვა განხორციელდა, რომელიც მუდმივად აიღიარება, შეუჩერებლად იქადაგება, განუწყვეტლივ გადმოიცემა, ის აღორძინებს ჩვენს იმედს, განაახლებს ჩვენს იდეალებს...

რატომ, რა მიზეზით?...

იმიტომ, რომ ერთ საიდუმლოს მეორეს კენ მივყავართ... სიტყვის განხორციელება – პირველი საიდუმლო, მეორე საიდუმლოს – წმიდა სამებას – გვიმხელს.

* * *

დღეს გვეუწყება, რომ ღმერთი სიყვარულია, ანუ ის ერთეული კი არ არის, განცალკევებული პირი კი არა, არამედ პირიქით, პირთა გაერთიანებაა, ის – საღვთო სამი სახის ერთობაა სიყვარულის ურთიერთობაში.

ღმერთს არა მხოლოდ გააჩნია სიყვარული, ის თვითონაა სიყვარული, ის – თვით სიყვარულია, ის – სიყვარულის წყაროა, ის ჭეშმარიტი და ბუნებრივი სიყვარულის უფსკრულია, სიყვარული მისი არსის მთავარი და ჭეშმარიტი განსაკუთრებულობაა.

და როდესაც გვემცნობა, რომ „ღმერთი სიყვარულია“, ეს ნიშნავს იმას, რომ მთლიანად წმინდა სამებას ეწოდება სიყვარული; ასევე, რომ წმიდა სამების სახეები ერთობაშია და ეთავსებიან და ერწყმებიან ერთმანეთს ისე, რომ არ ირევიან, ბუნების ტოლფასობისა გამო, ასევე როგორც ამ ბუნებრივი სიყვარულის გამო.

ზუსტად ეს დიდი ჭეშმარიტება, ეს ხარება პირველ რიგში განახლებს ჩვენს იმედს: ღმერთი, როგორც სიყვარული, გვინახავს, გვამრთავს, და ყოველგვარად გვიხმობს თავისკენ. ის არ ივიწყებს თავის ქმნილებას, და არ გვივიწყებს, არამედ, პირიქით, მუდმივად ზრუნავს იმაზე, რომ აღდგეს ურთიერთობა ჩვენსა და მის შორის, ურთიერთობა წმიდა სამების მაგალითით.

* * *

ეს ხარება, ეს სასიხარულო ამბავი ასევე განაახლებს ჩვენ იდეალებს, რომლებიც საფრთხეში, ყოველდღიურ ცხოვრებისეულ ფუსფუსში იმყოფებიან, მიუხედავად ლიტურგიული წახალისებისა: “გვეყვარებოდეს ურთიერთ, და ერთარსად აღვიაროთ და მოვიღოთ მამა, ძე და სული წმიდა, სამება ერთარსი და განუყოფელი”!...

ხოლო თუ ჩვენ სიყვარულში ვიმყოფებით, თუ სიყვარული იქნება ჩვენს შორის, თუ საქმითაც სიყვარულისმიერი ურთიერთობით ვიცხოვრებთ, თუ ჩვენ გაერთიანებული და შერწყმულნი ვართ ერთმანეთში, მხოლოდ მაშინ ვიმყოფებით წმიდა სამებაში და წმიდა სამება – ჩვენში, მხოლოდ მაშინ ვხდებით ტაძრად, და სავანედ მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, მხოლოდ მაშინ სრულდება ქრისტეს სურვილი, „ყველა ერთნი არიან, როგორც შენ, მამაო, ჩემში, და მე შენში, და ისინიც ჩვენში ერთიანად იქნებიან”.

იმედი და იდეალი!... არ მივცეთ ჩვენს თავს იმის ნება, რომ ჩვენი იმედი და ჩვენი იდეალები გაფერმკრთალდნენ და დაიკარგონ რომელიმე კრიზისის ან განსაცდელის ნამსხვრევებში...

ჩვენი რწმენა და ჩვენი აღმსარებლობა დღეს და სამუდამოდ, „რომ სიტყვა განხორციელდა” და რომ„ ღმერთი სიყვარულია“, ჩვენთვის და ჩვენი ძმებისთვის ყველაზე ძვირფასი ძღვენია, რომელიც აღგვადგენს და გვაერთიანეს.

* * *

ყოვლადკურთხეული ღვთისმშობლის მეოხებით გაგვაძლიეროს და დაგვმოძღვროს ჩვენი მრავალპატივცემული ბერის და მიტროპოლიტ კვიპრიანეს ლოცვებმა, და დაგვიფაროს, რათა ჩვენ სარწმუნოდ ვმოწმობდეთ ადამიანის ქრისტესთან შეერთებაზე, კაცის ღმერთთან შეხვედრის უდიდეს საიდუმლოებაზე, სადიდებლად მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

† ჩვენი მაცხოვრის
იესო ქრისტეს წმიდა შობა 2012

თქვენი მდაბალი
მლოცველი განკაცებული უფლის წინაშე

+ორეის ეპისკოპოსი კვიპრიანე

წინააღმდგომთა წმიდა სინოდის
თავმჯდომარის მოადგილე.

ღვთისთვის საძაგელი მოყვასის განკითხვის ვნება

უნდა ვიფხიზლოთ, რათა არავინ განვიკითხოთ *

ვინმე ბერმა შემდგომი მოგვითხრო:

"როდესაც შორეულ უდაბნოში ვცხოვრობდი, მონასტრიდან ერთმა ძმამ მომაკითხა. ვკითხე, მამები როგორ არიან, მან კი მიპასუხა: "თქვენი ლოცვებით, კარგად". მაშინ ერთ ძმაზე ვკითძე, რომლის შესახებ ცუდი მითქმა – მოთქმა მიდიოდა, და მან მითხრა: "გულწრფელად გეტყვი, მამაო, იგი არ გამოსწორდა".

მოვისმინე რა ეს, ამოვიოხრე: **"ეხ"**. როგორც კი ეს **„ეხ"** წარმოვთქვი, ძილად ვიქეცი, თუ სულით აღტაცებული, ჩემს მზერას უცბად წმიდა გოლგოთა წარმოუდგა და თავად უფალი, ორ ავაზაკს შორის ჯვარცმული.

მის ფერხთით მთხვევა და თაყვანისცემა მინდოდა, ხოლო როგორც კი უფალმა შეამჩნია ჩემი ზრახვა, მაღალი ხმით უბრძანა იქ მყოფ ანგელოზებს: **"გააგდეთ აქედან, რამეთუ ის – მტერია ჩემი. მან ძმა განიკითხა ჩემს მსჯავრზე ადრე".**

სანამ მაგდებდნენ, ჩემი ანაფორა კარს შეყვა, რომელიც მიიხურა. მომიწია იქ მისი დატოვება და მაშინვე გამეღვიძა.

* * *

მაშინ ვუთხარი ჩემთან მოსულს: "სამწუხარო დღე დადგა ჩემთვის" – „რატომ, მამაო?" – მკითხა მან. მაშინ მოვუყევი ყველაფერი, რაც ვიხილე და დავამატე: "ჩემი ანაფორა ღვთის საფარველს ნიშნავს, რომელსაც შეველიე".

იმ დღის შემდეგ, დიდების უფალი მოწმეა, შვიდი წელი უდაბნოში დავყავი; არც პური მიჭამია, არც ჭერ–ქვეშ მომისვენია, არავის შევხვედრილვარ, სანამ კვლავინდებურად უფალი არ ვიხილე, ჩემთვის ანაფორის დაბრუნებას რომ ბრძანებდა.

* * *

"ჩვენ კი, ჩვენთვის სათაყვანებელი ღირსი ბერის შემთხვევის მომსმენნი, შიშით დაგაოცებითვფიქრობდით: "თუ ეს მართალი კაცი ძლივს გადარჩა, როგორ ვიკადროთ ჩვენ, ცოდვილებმა და უვარგისებმა, ღვთის წინაშე წარდგომა?"

(*) მეუდადაბნოე მამათა წმიდა ცხოვრება, თავი 9, 52. გვ. 511, 1995 ოქტომბრის გამოცემა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახ. მონასტერი, პანორამა – თესალონიკე.

გონიერი/ გულის ლოცვა და სულიერი მამა

იესოს ლოცვა ერში *

ერთხელ, პელეპონესის ერთ ქალაქში შევხვდი 32 წლის ქრისტიანს, რომელსაც, თითქოს და, როზმარინის სურნელი უდიოდა.

უფრო მეტად გავიკვირვე, როდესაც მან იესოს ლოცვაზე დაიწყო საუბარი. „ უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე" – და მეც დავრწმუნდი, რომ ეს აღუწერელი სურნელება მისი ბაგეებიდან ამოდიოდა.

* * *

მრავალი წლის წინ, წმიდა მთაზე ასწავლეს მას იესოს ლოცვა კრიალოსანზე, მას შემდეგ ის გამუდმებით მისი მეშვეობით დღე და ღამე ლოცულობს, ძილშიც არ წყვეტს ლოცვას. ბუნებრივი ძილის მოთხოვნაც კი შეცვალა ლოცვამ.

ასე, იესოს ლოცვა თანდათან სულსა და გულში შევიდა, და ის, ლოცვის საოცარი ქმედებით დამტკბარი, ვერ ხსნიდა, როგორ მოქმედებდა მასში ლოცვა, ვითომდა გულიდან ამოდიოდა; ის გრძნობდა აღუწერელ ტკბობას მაშინაც კი, როდესაც ლოცვას არ ამბობდა შეგნებულად, ბაგეებითა თუ გონებით.

სწორედ ეს არის სულიერი ლოცვის ანუ გულის

შემუსვრილი ლოცვის საოცარი თვისება.

* * *

ერთხელ, როდესაც ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა, უცბად იმდენად შეიცვალა ღვთის წყალობის ძალით, რომ... (აქ თავად აღწერს შემდეგს):

• **მ**ე საკუთარი თავი დამავიწყდა, თითქოს გავუჩინარდი და უეცრად ვიგრძენი როგორ აღმოჩნდა სული ჩემი სულიერი მამის გ. კ–ს ხელში, რომელიც ამ დროს ტრაპეზის წინ ლოცულობდა, ნათელით და ღვთიური ძალით გაბრწყინებული.

• **ც**ოტა ხნის შემდეგ, არ ვიცი რამდენი დრო გავიდა, იგივე ზეციური ნათება მოეფინა სულიერ მამაზე, რომელიც იმდენად კაშკაშად გაბრწყინდა, რომ ჩემმა სულმა თითქოსდა თვალნი დახუჭა. როგორ ვხედავდი და როგორ დავხუჭე თვალები – არ ვიცი.

• **ი**მ დროს, როდესაც სულიერი მამა ჩემს სულს ძლიერად იკრავდა გულში, მესმოდა როგორ ლოცულობდა ჩემთვის უფლის წინაშე. ჩემი სული თვალების აწევას ვერ ბედავდა, მაგრამ მე მაინც ვგრძნობდი როგორ ვიყავი ამ მკვეთრი ნათებით მოცული, ვითომ ნათელში ვბანაობდი, რომელიც სიხარულს, ბედნიერებას მგვრიდა. სიმშვიდეს, განცვიფრებას, ნეტარებას...

• **უ**ცბად მოვედი აზრზე. ფეხქვეშ მიწას ვერ ვგრძნობდი და იესო ქრისტეს ლოცვა თავად ჩემში დაუსრულებლად მოქმედებდა – „იესო ჩემო...იესო ჩემო...იესო ჩემოო...

• **ს**ამი, ოთხი დღე წვეთი წყლის დალევა ვერ შევძელი, არც ძილი მომერია; მხოლოდ უწყვეტი და აღუწერელი ზეციური ნეტარებით ვტკბებოდი. და თვალთაგან უტკბესი ცრემლის ნაკადული მდიოდა...“

(*) პროტოპრესვიტერი სტეფანე კ. ანაგნოსტოპულოსი, პირეი. 2007.

10 ნიჭი, რომელსაც ფასი არ აქვს, გარდა ლოცვისა და კეთილგანწყობისა

მოყვასთან მშვიდობიანი ყოფის ათი მცნება

1. პირველმა დაილაპარაკე!
• **უ**ბრალო, თბილი მისალმებაც კი კარგად განაწყობს!
2. შეხვედრისას გაიღიმე!
• **უ**ნდა იცოდე, დაღვრემილობა 72 კუნთს ტვირთავს, ხოლო ღიმილი კი – 14–ს!
3. სხვას სახელით მიმართე!
• **ყ**ველა ჩვენთაგანისთვის საკუთარი სახელი ხომ ყველაზე სასიამოვნო სიტყვაა!
4. ყველას კეთლგანწყობილად მიმართე, დახმარებისთვის იყავი მზად!
• **თ**უ გსურს მეგობრები იყოლიო, პირველი უნდა გახდე მეგობარი.
5. ეცადე გულთბილი იყო!
• **დ**ა შენმა სიტყვებმა და ქმედებამ დაუმტკიცოს სხვას შენი გულწრფელობა!
6. მოყვასის მიმართ გულახდილი თანაგრძნობა იქონიე!
• **ს**აქმით დაამტკიცე, რომ ზრუნავ მათზე და მხარს უჭერ მათ! ყურადღება მიაქციე მათ!
7. ყოველთვის რამე კეთილი თავი!
• **გ**ულწრფელი თვაზიანობა, სხვისი განდიდება, ჭეშმარიტ მეგობრობას ქმნის!
8. ეცადე ყოველთვის გაუგო სხვას!
• **რ**ამეთუ ყველაფერზე სამი მოსაზრება არსებობს: შენი, სხვისი და სწორი.
9. გულწრფელად გიყვარდეს!
• **ს**იტყვითა და საქმით, და სამაგიეროს არაფერს ელოდე!
10. მოკრძალებით მოიქეცი!
• **მ**ოკრძალებული, თავაზიანი – ყველას უყვარს!

ბოროტ სულებს ღვთისმშობელის შიში აქვთ

გულწრფელი აღსარება *

ოდესღაც ბერ გაბრიელს ექიმი მიხეილ იგორევიჩი კურნავდა. ექიმი ის კაცი იყო, რომელიც არასდროს დაფიქრებულა რწმენისა და სულის ხსნის საკითხებზე. ყველაფერს, რაც ცხოვრებაში ხდებოდა, ფიზიკის კანონებით უძებნიდა ახსნას.

ერთხელ მამა გაბრიელმა ჰკითხა მას:

"მიხეილ იგორევიჩ, გჯერა ბოროტი სულების, ეშმაკების არსებობისა?"

"ეჰ...ხომ იცი... ამისი არც ისე მჯერა."

„გთხოვ, უპირველეს ყოვლისა გამსინჯე, რათა დარწმუნდე, რომ ფსიქიკურად ჯანმრთელი ვარ."

ექიმს გაეცინა და თქვა, რომ მამა გაბრიელს სრულიად ნორმალურ ადამიანად თვლის, „ჯანმრთელი ფსიქიკით". სამაგიეროდ, სხეული, განსაკუთებით, გული დიდ სისუსტეს განიცდის.

* * *

„შესანიშნავია" — განაგრძო მამა გაბრიელმა, — „ე.ი., დღეს, შუადღისას, ექვს საათზე, სუნთქვის უკმარისობა დამეწყო. სანამ ასეთ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი, ბოროტი სულები, ეშმაკები წარსდგნენ ჩემს წინაშე..."

—„ეს, როგორც ჩანს, ჰალუცინაციაა" — გააწყვეტინა ექიმმა.

„მე კი ვთვლი, არა. ეს ეშმაკები იყვნენ, რამეთუ ჩემი ტანჯვა იწყეს ასეთი გამონათქვამებით: „ღმერთი არ არის. შენ ჩვენი ხარ, ახლა კვდები.„

—„არა. თქვენი არა ვარ" — შევეპასუხე მათ — „და არ ვკვდები. მჯერა, ქრისტე დამაყენებს თავის გვერდით".

ხარხარი დაიწყეს: "ხა,ხა,ხა. არც ქრისტე და არც ღმერთი არ არსებობენ."

„თუ ღმერთი არ არის, რატომ მაბეზრებთ თავს?" — ვუპასუხე — „თქვენ ვინ შეგქმნათ? თუ ღმერთი არ არის, მაშინ თქვენც არ არსებობთ. თქვენ — მატყუარები ხართ! თქვენ — სიცრუის განხორციელება ხართ, თქვენ — ეშმაკები ხართ!!! მომწყდით თავიდან. მე მწამს ღმერთი და ის შემეწევა მე!"

„ხა,ხა,ხა... სად მოხვდები? ვნახოთ. შენ ხომ ცოდვილი ხარ!" — საწინააღმდეგოს მეუბნებოდნენ ისინი.

„დიახ, ცოდვილი ვარ" — ვუპასუხე — „მაგრამ ცდუნებაში თქვენ შეგყავართ. მე კი მოვინანიე, აღსარება ვუთხარი ჩემ სულიერ მამას და ყველა ცოდვებისგან ვიხსენი თავი.„

„კი, ეს სიმართლეა, მაგრამ შენ გულწრფელად არ მოგინანიებია. შენ ყველანაირად თავს იმართ-ლებდი მოძღვრის წინაშე."

„რომ ყოფილიყო ისე, როგორც ამტკიცებთ, ეს სირცხვილის გამო იყო. მე მრცხვენოდა ჩემი ცოდვების სიმძიმის გამო. მაგრამ ამ სირცხვილს და ცრუ შიშს თქვენ შთამაგონებდით, ცდილობდით რა თქვენი ხრიკების მსხვერპლად ჩემს შენარჩუნებას და დაღუპვას. და ახლა ჩემს შესაშინებლად გამოჩდით. მაგრამ ეს თქვენ არ გამოგივათ. მე მრწამს და აღვიარებ ძეს ღვთისას იესო ქრისტეს, მოსულს ამ ქვეყნად ცოდვილთა სახსნელად, რომელთაგან პირველი მე ვარ." (I ტიმ., 1,15).

"მერე დავიწყე ლოცვა, უფალს შევღაღადებდი: "უფალო შემიწყალე!"

მაგრამ ეშმაკები თავს მაბეზრებდნენ. „ეჰ! გესმით, რას ამბობს ის? რის იმედი გაქვს, ცოდვილო?"

ლოცვას არ ვწყვეტდი: "წმიდაო მამებო, დამეხმარეთ, თავი დავიხსნა ცილისწამებისა და ეშმაკთა თავდასხმისაგან".

ისინი ყვიროდნენ: ''არა, არა, შენ დაიღუპები!"

„არა,—დავიღრიალე,—ჯერ კიდევ ხორცშესხმული ვარ, მონანიებას კიდევ შევძლებ. მე არ დავიღუპები".

მაშინ მათ ჩემს წინაშე გადაშალეს სურათი ყველა ჩემი ცოდვისა, ისეთიც, რომელსაც მე ცოდვად არ მივიჩნევდი. გამუდმებით მაჩვენებდნენ. „აი, აქ შეხედე! ხედავ? ვისი ცოდვებია, შენი ხომ არა?" უწმიდური სულები არ წყვეტდნენ ჩემს მხილებას: „წმიდა მამებიც შენნაირები იყვნენ.ისინიც ცოდვილები იყვნენ!"

ამ სიტყვების გაგონებაზე ავწიე თავი და თავხედურად ვუპასუხე. „რა? წმიდანები ისეთივე ცოდვილები იყვნენ, როგორც მე? მაგრამ მათ ხსნა მიიღეს! მაშინ მე რატომ ვერ გადავრჩები,

როგორც ისინი? მე ჯერ კიდევ ხორცშეხმული ვარ და შემიძლია მოვინანიო. არა, ცოცხალი ვარ, ჩემთვისაც არსებობს ხსნის იმედი“.

იმწამსვე გაიფანტნენ დამარცხებული დემონები.

მაშინ გამახსენდა, ოდესღაც ლოცვისას შევთხოვე ღვთისმშობელს, რათა დავეცავი სიკვდილის ჟამს, როდესაც ლოცვისთვის ძალა აღარ მექნება. აზრად მომივიდა ეს წინა ვედრება და ცრემლმორეულმა შევღაღადე ყოველთა მწუხარეთა შემწეს: “მეუფეო ჩემო, დადგა დრო, რათა თავად შენ დამიცვა დემონთა ძალთაგან. მე ხომ გთხოვე ამის შესახებ...“

ამავდროულად ყველა დემონმა ერთდროულად დაიწივლა: “აქედან მივდივართ“ და გასასვლელს მივარდნენ. ამ მაგიდაზე, რომელსაც ხედავ, ჩინური თეფში იდო. ეშმაკებმა აიღეს ის და მთელი ძალით მიწაზე დაანარცხეს, ის ნამსხვრევებად იქცა.

ამაზე რაღას იტყვი, მიხეილ იგორევიჩ, არ გყოფნის კონკრეტული მტკიცებულებები? კიდევ გეტყვი: როდესაც შემოვიდა ჩემთან მამა იოსები და თეფშის ნამსხვრევები დაინახა, შემეკითხა: „ამ თეფშმა ვინმეს შეუშალა ხელი? ვინ იყო აქ, თქვენთან?“

ექიმი შეძრწუნებული იყო და დაბნეული.

„რათქმა უნდა, — აღიარა მან, —„ეს ყველაფერი უჩვეულოა... ეს ჰალუცინაცია არ არის.“

* * *

როგორც კი წავიდნენ დემონები, მამა გაბრიელმა იმწამსვე თავის სულიერ მამასთან, მამა ეპიფანესთან გააგზავნა. მან უკიდურესად გულწრფელად მოინანია და თქვა აღსარება, არა მხოლოდ იმ მრავალი ცოდვებისა, რომლის შესახებ იცოდა, არამედ იმაზეც, ეშმაკებმა რომ გაუმხილეს, რომელთა საშინელი სურათიც ჯერ ცოცხლობდა მის გონებაში.

მოგვიანებით მამა გაბრიელი აღიარებდა, რომ არა მისი რწმენა მხსნელისადმი, ან ეს რწმენა შერყეულიყო, — ის უეჭველად მოკვდებოდა სასოწარკვეთილებისა და დემონების შიშისაგან. მაგრამ უფლისადმი მტკიცე რწმენამ დაიფარა და იხსნა ის. ღვთისმშობლის სახელის გაგონებისთანავე შეშინდნენ და გაქრნენ დემონები, თან მკრეხელობებს და ლანძღვას ანთხევდნენ. ღმერთის წყალობით ისინიც, უნებლიედ, დაეხმარნენ მამა გაბრიელს ცოდვებისგან გათავისუფლებაში და ამით სიმშვიდისა და სიხარულის მოპოვებაში.

* * *

მას შემდეგ, რაც მამა გაბრიელს დემონები ეახლნენ, იგი უფრო ფხიზლად იყო. წვრილმან ზრახვებსაც კი აღნიშნავდა, რომელიც მის ხსნის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა.

გამუდმებული ლოცვით და ღვთის განგების დახმარებით განათლებული, ის ახლა ნათლად ხედავდა საკუთარი გონების ყველა მოძრაობას და მაცდურ აზრებს როგორც მტერს, ისე უყურებდა, პირველივე გაჩენისთანავე იესოს სახელით განაგდებდა მათ.

ხოლო მაცდური, უბრალო აზრების მოზღვავებასაც კი ცოდვად თვლიდა. ის ყოველ ჯერზე ტიროდა და ინანიებდა — და ეს — სიკვდილამდე. „მონანიება — ღვთის ნიჭია“, ამბობდა იგი.

ამავდროულად, დემონების აუტანელმა იერმა და მათზე საშინელმა შთაბეჭდილებამ, რომელიც მის გონებაში დარჩა, მამა გაბრიელს სასიკეთოდ შემოუტრიალდა.

ისსულ სიკვდილზე და მარადიულობაში გადასვლაზე, ასევე საზვერეებში სხვადასხვა გვემებით სულის ტანჯვაზე ფიქრობდა.

როგორ დაიცვას თავი ადამიანმა გადასვლისას? როგორ შევძლოთ უფლის შემწეობის მიღება, ზეციური დედოფლის მეოხების ღირს ქმნილნი გავხდეთ? მისი საფარველი ხომ ისეთ შიშს ჰგვრის დემონებს? მამა გაბრიელი მთლიანად ლოცვად დგებოდა, უფლისადმი ვედრებით, რათა შეენდო მისთვის სიკვდილის ჟამს.

თითქოს მისი ლოცვების საპასუხოდ, მან იგრძნო, როგორ ძლიერდება მისი რწმენა და სული ივსება სიხარულით და გადარჩენის იმედით.

მისი სული აღივსო სიყვარულით, ის გრძნობდა, როგორ ღვივდებოდა მასში ცეცხლი, რომლისგანაც უფრო ძლიერად ჩქეფდა ლოცვა, რომელიც აერთიანებდა მის აზრებს და ფიქრებს, და ღმერთთან ამაღლებდა მათ.

სიყვარულს პირდაპირი გზით მიჰყავდა ის ღმერთთან. ყველა მისი გრძნობა ამაღლებული ხდებოდა და გონება ჭვრეტის უნარს იძენდა, ზეცაში ბუნებრივად და თავისუფლად დაფრინავდა.

„ამის შემდეგ კდემამოსილ შიშს ვგრძნობდი.“ — წერდა მამა გაბრიელი.

(*) პეტრე ბოჩიმ, ბერი სქიარქიმანდრიტი გაბრიელი მეუდაბნოე

ორი მეტად დამრიგებლური გამოცხადება

ჭეშმარიტი სინანული*

ერთხელ ბერმა მიიპატიჟა თავისი ორი სულიერი შვილი, რათა ერთად ესადილათ. უეცრად მკვეთრად წამოხტა და წამოიძახა:

"აი ჩემი პელაგია! როგორ ინანიებს, მევედრება შევუნდო ცოდვები. როგორ ტირის! ადექით, ჩემო შვილნო, ჭამას თავი დაანებეთ და ჩემთან ერთად ილოცეთ!".

ბერი კუთხისკენ გაემართა, სადაც ხატები ებრძანებოდა, წაიკითხა განხსნის ლოცვები და აკურთხა სინანულში მყოფი თავისი სულიერი შვილი.

– „სად არის ახლა ის, სად ინანიებს?"

– „ახლა ის ჩრდილოეთ რუსეთშია. როდესაც დაბრუნდება, შევეკითხები, თუ როგორ ინანიებდა ის. ჩაიწერეთ დღე და საათი".

● **მართლაც**, ნახევარი წლის მერე პელაგია სახლში დაბრუნდა და მოუყვა ბერს, თუ როგორ სიღრმისეულად ინანიებდა და ტიროდა, ევედრებოდა მას ცოდვების შენდობას. სწორედ იმ დღეს და იმ საათს, როდესაც ის უკითხავდა მას განხსნის ლოცვებს.

* * *

მსგავსი ამბავი ორ ქალს მოუხდა. ისინი ბერთან კელიაში მიდიოდნენ, ერთ—ერთი მთელი გზა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ყველა ცოდვას ინანიებდა.

„ღმერთო, დიდი ცოდვილი ვარ! შევცოდე ამით, იმითაც, კიდევ ბევრი განვიკითხე; შემინდე უფალო..." მთელი გონებითა და გულით უფლის ფერხთით დანთხეული იყო. „შემინდე, უფალო, მომეცი ძალა, რათა აღარ გაგანაწყენო. შემინდე, უფალო"... თავისი ცხოვრება გაიხსენა და მთელი ეს დრო მწარედ ინანიებდა.

● **ხოლო** მეორე, პირიქით, სანამ ბერთან მივიდოდა, მხიარულად იყო. „როგორც მივალ, „ — თავისთვის ფიქრობდა — „ აღსარებას ჩავაბარებ, ვეტყვი, „ ყველაფერში ცოდვილი ვარ", მეორე დღეს კი ვეზიარები. ხოლო ახლა, სანამ გზაში ვარ, უნდა ვიფიქრო, თუ რა ნაჭერი ვუყიდო გოგოს კაბისთვის, როგორი ფერი შევარჩიო, მის სახეს რომ მოუხდეს..." ასეთი და სხვა ამგვარი ამაო აზრები ეტანებოდნენ მეორე ქალს.

ისინი ერთად შევიდნენ მამა ზაქარიას კელიაში. ბერმა პირველს უთხრა:

"მუხლმოდრეკით დადექი, ცოდვების გამხსნელ ლოცვას წაგიკითხავ!" „ეს როგორ, მამაო!... მე ჯერ ცოდვები არ მომიყოლია". „საჭირო არ არის რამე მოყვე. აქამდე უფალს უთხარი ყველაფერი. მთელი გზა ინანიებდი, მე ყველაფერი გავიგე, ამიტომ გიხსნი ყველა ცოდვას და კურთხევას ვიძლევი ხვალ საზიარებლად". „ და შენ..." — ბერმა მეორე ქალისკენ მიიხედა — „მიდი, შვილს საკაბე ნაჭერი უყიდე. შესაფერისი ფერი აარჩიე, ყველაფერი, რაც გჭირდება, გააკეთე. ხოლო აღსარებაზე მოხვალ მხოლოდ მაშინ, როცა შენი სული მონანიების გრძნობამდე დავა. ახლა შენგან აღსარებას არ მივიღებ..."

(*) ბერი ზაქარია, ღვთისმოსავი ბერი საბჭოთა კავშირიდან, მე–4 გამოცემა, წმ. ხარების მონასტერი, ორმილია 2002.

ბილწ აზრებთან ბრძოლა

" მე შენს გულში ვიყავი..."

ბერ ამბროსი ოპტელს ჰკითხა ვინმემ:

„მამაო, არის თუ არა ცოდვა, თუ ჩემი ნების წინააღმდეგ, ბილწი აზრები ეუფლებიან გონებას?"

●„მომისმინე შვილო," — უპასუხა ბერმა — „ერთი ღვაწლმოსავი დედა, ეკატერინე სინაელი, დიდი ხნის განმავლობაში იყო ცდუნებული ბილწი აზრებით. ბოლოს და ბოლოს, გამოეცხადა უფალი და ეგრევე განაგდო ყველა ის აზრები."

„სად იყავი ამდენ ხანს, ჩემო უტკბესო იესო?" — კითხა მან.

„ შენს გულში ვიყავი", — უპასუხა უფალმა.

„ ჩემს გულში? ის ხომ სიბილწით არის აღსავსე!"

„შენს გულში იმიტომ ვიყავი, რომ შენ ამ უწმინდურ აზრთაგან არც ერთი მიიღე. პირიქით, ცდილობდი განგეგდო შენგან ისინი. მათგან თავის დახსნა ვერ შეძელი და ამის გამო დაიტანჯე. მაგრამ, მათ წინააღმდეგ იბრძოდი. ამგვარად შეინახე ჩემთვის ადგილი გულში".

● **რა** დასკვნაა აქედან? როდესაც არ ვღებულობთ სხვადასხვა უღირს აზრებს, მათში დამნაშავენი არა ვართ.

წმიდა ხატების ძალა

დემონს სძულს მათდამი თაყვანისცემა*

ეს ამბავი, ამბა თეოდორე ელიოტისგან გაგონილი ვინმე ბერმა მოგვითხრო. აი, რა მოუხდა განდეგილს, რომელიც ელეონის მთაზე ცხოვრობდა. ამ ღვაწლმოსილ ბერს სასტიკი ბრძოლა ჰქონდა გაჩაღებული სიძვის მაცდუნებელ ეშმაკთან.

ასე, ერთხელ, მორიგი სასტიკი შემოტევისას, ბერი შეღონდა და დაუყვირა დემონს:

"რამდენ ხანს უნდა მტანჯო? დამეხსენი, უკვე შევაბერდით ერთმანეთს!"

მაშინ ეახლა ეშმაკი და უთხრა:

"შემპირდი, რომ არავის ეტყვი, რასაც შენ გეუბნები, მეც შევწყვეტ შენს ცდუნებას!"

ბერმა პირობა მისცა:

"უზენაესის წინაშე ვფიცავ, რასაც მეტყვი, არავის გავანდობ!"

მაშინ უთხრა ეშმაკმა:

"ამ ხატს არ სცე თაყვანი და შევწყვეტ შენთან ბრძოლას''.

ხატზე იყო გამოსახული ჩვენი დედოფალი, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ჩვილ უფალ იესო ქრისტესთან ხელში.

განდეგილმა უპასუხა ეშმაკს: „ცოტახანს დაიცადე, უნდა დავფიქრდე".

* * *

მეორე დღეს მან შეატყობინა მომხდარის შესახებ ამბა თეოდორე ელიოტს (მანვე მოგვითხრო ეს ამბავი), რომელიც იმ დროს ფარანის ლავრაში ცხოვრობდა და როდესაც ის მივიდა მასთან, ყველაფერი დაუფარავად მოუყვა.

მაშინ ბერმა უთხრა მას:

"ჭეშმარიტად, შენი ფიცით, ამბა, ხაფანგში გაები; სწორედ მოიქეცი, რომ ყველაფერი მომიყევი. დანამდვილებით, უკეთესი იქნებოდა ქვეყნის ყველა საროსკიპოში უწესობდე და ხეტიალობდე, ვიდრე ჩვენი უფალი იესო ქრისტეს და მისი უწმიდესი დედის თაყვანისცემას გაემიჯნო."

როგორც კი კეთილი რჩევით და სხვა დარიგებებით განამტკიცა ის, ამბა თავის კელიაში დაბრუნდა.

* * *

მაშინ დემონი კვლავ ეახლა განდეგილს და მიახალა მას:

"ეს როგორ, ბოროტო ბებრუხანავ! შენ ხომ დაიფიცე, არავის ვეტყვიო! რატომმოუყევიყველაფერი იმას, შენთან რომ მოვიდა? გარწმუნებ, ბებრუხანავ, სამსჯავროს დღეს, დასჯილი იქნები როგორც ფიცის დამრღვევი".

ხოლო განდეგილმა უპასუხა: "ვიცი, დაგპირდი და არ შევასრულე; მაგრამ ფიცი დავარღვიე ჩემი უფლის და შემოქმედის სიყვარულის გამო. აღარ მოგისმენ, შენი დასჯა ხომ გარდაუვალია, როგორც დამნაშავეს ფიცზე ბოროტი ზრახვებით".

(*) იოანე მოსხის, „სულიერი მდელო", თავი 45, წმიდა მონასტერი სტავრონიკიტა, ათოს 1983.

● საფოსტო მისამართი: წმიდა ანგელოზთ მონასტერი, 145 65 აგიოს სტეფანოსი, ს.ყ. 51891, საბერძნეთი. ● ელექტრონული მისამართი (e-mail): mhangels@otenet.gr ● ტელეფონის ნომერი: (-30) 22950 22582 ● ფაქსი: (-30) 22950 22582 ● გამოიცემა 8 ენაზე: ბერძნული, რუსული, ინგლისური, ფრანგული, იტალიური, შვედური, ჩეხური, ქართული. (www.synodinresistance.org\Publications_en\OikodomiParamythia.html ● რიგდება და ვრცელდება უფასოდ. ● წინააღმდეგთა წმიდა სინოდის თავმჯდომერის მოადგილე, მისი მაღლადუსამღვდელოესობა ორეის ეპისკოპოს კვიპრიანეს მეთვალყურეობითა და კურთხევით საბერძნეთში მართლმადიდებლური ეკლესიის მამების კალენდარი.